განათლებისთვის
Enlightening

დამოუკიდებელი ქართულ- ინგლისურენოვანი ჟურნალი პედაგოგებისათვის
An Independent Bilingual Journal of Pedagogy and Practice

რედაქტორის წინათქმა

პედაგოგიური ჟურნალის მიზანი შეიძლება იყოს მიმდინარე მოვლენების ასახვა: მაგალითად, წარმატებული მასწავლებლის გაკვეთილის აღწერა ან განათლების სამინისტროს მიერ ახალი მარეგულირებელი ნორმის შემუშავება, როგორიც მაგალითად სკოლაში მანდატურების ინსტიტუტის დანერგვა ან მედლებს გადაცემის წესის დადგენა.

ჩვენი მიზანი განსხვავებულია: ამ ჟურნალით გვინდა შევქმნათ გარემო საქართველოში პედაგოგიკის აღორძინებისათვის, სადაც განხორციელდება სწავლების ოპტიმალური მეთოდების ძიება და საფუძველი ჩაეყრება პედაგოგიურ კულტურას, ეთოსს.

ეს თავიდან აგვარიდებს იმ შეცდომებს რომლებიც დაშვებული იქნა რეფორმის განვლილ ეტაპზე, როცა საუკეთესოს ძიებაში სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების მექანიკური კომპილაცია განხორციელდა და განათლების სისტემის ერთიან სხეულად შეკვრის ნაცვლად, ზღაპრული ქიმერა მივიღეთ, რომელიც სხვადასხვა არსებების ნაწილებისგან შედგება, ეს ნაწილები მათი თავდაპირველი პატრონების ბუნების თანახმად მოძრაობენ და წინ წასვლის ნაცვლად ტკივილს აყენებენ საერთო სხეულს.

ჩვენი ქვეყანა რთულ პოლიტიკურ გარემოში არსებობს და ეს სირთულე ახლო მომავალში ადვილად დასაძლევი არ არის. სწორედ ამიტომ გაორმაგებული მონდომებით გვმართებს ახალგზრდების მომზადება მომავალი ცხოვრებისათვის, რათა არამარტო კონკურენტუნარიანნი იყვნენ თანატოლებს შორის, არამედ აფასებდნენ საკუთარ კულტურას, მის დამკვიდრებასა და განვითარებაში ხედავდნენ საკუთარი პიროვნების გამოხატვისა და ზრდის საშუალებას, იყვნენ მოქალაქეები და შემოქმედნი და არა მომხმარებლენი.

სრულყოფილი პიროვნების აღზრდეისათვის აუცილებელია ინტელექტუალური რესურსების მოზიდვა, სულიერი განვითარებისათვის კომფორტული გარემოს შექმნა და ეკონომიური ხელშეწყობა. გვჯერა ჩვენს საზოგადოებას შეუძლია ასეთი ჰარმონიული გარემოს შექმნა თავისი მომავლისათვის. ეს ჟურნალი მსჯელობისათვის, ძიებისათვის, კამათისათვის და განუწყვეტელი დახვეწისათვის შეიქმნა.

მიუხედავად იმისა რომ მასწავლებლობა უძველესი ინსტიტუტია, არ არსებობს უნიფიცირებული კრიტერიუმი კარგი მასწავლებლისა . რასაკვირველია, წარმატება შედეგით ფასდება, მაგრამ შედეგის მიღების საშუალებები სუბიექტურია და ინფორმაციის გადაცემის სტანდარტულ სქემაზე პიროვნების ინდივიდუალური თვისებების პროეცირების საშუალებით ხორციელდება. ჯერჯერობით კვლავაც შეუცვლელად აქტუალური რჩება პიროვნული მაგალითი და მასწავლებელ -შეგირდის დამოკიდებულება. მაგრამ ურთიერთობის ამ ჩარჩოებში არსებობს უსასრულოდ დიდი შესაძლებლობა სხვადასხვა პედაგოგიური ხერხის გამოყენებისა, რომელმაც შესაძლოა გაზარდოს ინტუიტურად დამყარებული პიროვნული ურთიერთობებიდან მიღებული შედეგის ეფექტურობა.

ეს ჟურნალი მოუწოდებს ყველა პედაგოგს და ამ საქმით დაინტერესებულ ადამიანს თავისი მოსაზრებები გამოთქვას და სამსჯელოდ გამოიტანოს წერილობითი ფორმით. გვჯერა, გახსნილი დისკუსია თავისთავად იქცევა მასტიმულირებელ წყაროდ ახალი იდეების წარმოშობისათვის, გამოცდილების გაზიარებისათვის, პედაგოგთა განათლებისათვის და იდეების დახვეწისათვის.

ჟურნალის რუბრიკები

- პედაგოგიკის თეორიული საფუძვლები და პერსპექტივები.
- სწავლების მეთოდები
- სასწავლო გარემოს ადმინისტრირება
- კლასგარეშე სწავლება
- სწავლების ფსიქოლოგია
- პედაგოგიური ლიტერატურის მიმოხილვა
- კომპუტერული განათლება
- იდეათა ბანკი

რა ახასიათებს კარგ სტატიას:

ნათლად ჩამოყალიბებული:

- მიზანი
- პერსპექტივები ან თეორიული საფუძველი
- მეთოდები, ტექნიკა ან შესწავლის ხერხები
- მონაცემთა წყარო ან ფაქტები
- შედეგები და დასკვნები/თვალსაზრისი
- კვლევის პედაგოგიური ან მეცნიერული მნიშვნელობა

როგორ უნდა გაფორმდეს სტატია

- მარჯვენა ზედა კუთხეში მიუთიეთ ავტორის გვარი, წოდება და ორგანიზაცია, რომელსაც წარმოადგენთ
- სათაურები გაამუქეთ,ფონტი14,აკად ნუსხ
- სტატიას წინ უნდა უძღვოდეს 50 სიტყვიანი აბსტრაქტი
- სიტყვების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 2000 ერთეულს

ორი ერთეულის დისტანციით ბჭკარებსა და სიტყვებს შორის, ფონტი12 , აკად ნუსხ

- ბიბლიოგრაფიული რესურსები განლაგდეს ალფაბეტური თანამიმდევრობით.

ვის შეუძლია წარმოადგინოს სტატია:

- განათლების დარგში მომუშავე პროფესიონალს ან განათლების საკითხებით დაინტერესებულ ნებისმიერ პიროვნებას რომელიც ფლობს ქართულ ან ინგლისურ ენას ან შეუძლია დადასტურებული თარგმანის სახით წარმოადგინოს ნაშრომი რომელიმე ამ ენაზე.
- სტატიების წარდგენის საბოლოო ვადაა 29.10.1910
- ელექტრონული ვერსია გთხოვთ გამოაგზავნოთ რედაქტორის ელ. ფოსტის მისამართზე nchachiashvili@aat.ge, ან წარმოადგინოთ მისამართზე

  თბილისი, ი.ჭავჭავაძის37ა, გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში.